რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებას“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე კორესპონდენტისთვის: Въ Тифлисъ, въ ред. Дроэба“ -„Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა


ფასი განცხადებისა

ცალკე ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოთა ორჯელ ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთა ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.


მიქელ - გაბრიელის დღესასწაულის გამო, ხვალ, კვირას გაზეთი არ გამოვა.

---

ამ თვის ხუთს „დროება“-„ივერიის“ რედაქცია გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ, კარები პროსპექტიდამ, კლუბის კარების მარჯვნით.

---


არწრუნის თეატრში

კვირას, 6 ნოემბერს

ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება

I

ორღანი და ლექვი

კომედია ხუმრობა ოთხ მოქმედებად, რუსულიდგან გადმოკეთებული

თ. დ. გ. ერისთვისაგან.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.


---

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 6 ნოემ. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია: ლივადია, 5 ნოემბერს. ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა სტამბოლიდამ მოსული რუსის ელჩი ნოვიკოვი. დახედა უაბარდოს ქვეითა პოლკის როტა.

პარიჟი, 6 ნოემბ. გაზეთის „*La Commune*“-ის რედაქტორს და დენ. კლიუზერეს სასამართლომ, ბერეზოვსკისაგან ხელმწიფის მკვლელობის განზრახვის ქებისათვის, გარდაუწყვიტა, თითოს—15 თვით საპყრობილეში დამწყვდევა და 2,000 ფრანკი ჯარიმა.

პეტერბურღი, 6 ნოემბ. გუშინ იყო სხდომა ცალკე კომისიისა, რომელსაც ბეჭდვის კანონების გარდასხედვა აქვს მინდობილი; კომისიამ მოისმინა აზრი პეტერბურღის გაზეთების წარმომადგენლებისა; ამათ გამოაცხადეს სურვილი, რომ ადმინისტრაცია არ ეხებოდეს ბეჭდვის (წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების) საქმეს და ამათი დანაშაულობის განხილვა სასამართლოებს ჰქონდეს მინდობილი.

დღეს, 6 ნოემბერს, ყარსის აღების დღეს; გრაფ ლორის-მელიქოვს ბევრმა მოულოცა და მოუვიდა ბევრი მოსალოცავი ტელეგრამმები რუსეთის ყველა მხრიდამ.

---

## ქართული ენა
### ჩვენს საშუალ სასწავლებლებში

ტფილისი, 7 ნოემბერს.

ამ ათი-თორმეტი წლის წინათ ქართული ენის სწავლებას ჩვენს გიმნაზიებში სწორეთ ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდათ, როგორც სხვა ენებისა ან თითქმის სხვა საგნებისაც: გიმნაზიების მთავრობა ყურადღებას აქცევდნენ, რომ ყველა ქართველ მოწაფეს თავის სამშობლო ენა ესწავლა, გაკვეთილები ისეთს დროს იყო დანიშნული, რომ შაგირდს არ ეძნელებოდა კლასში ყოფნა და მასწავლებლის მოსმენა, თვითონ ამ ენის მასწავლებელს გიმნაზიის მთავრობისაგან ისეთივე პატივი ჰქონდა, როგორც საზოგადოთ სხვა მასწავლებლებისას და ყველაზედ უმთავრესი ის იყო, რომ ქართულის ენის მასწავლებელი შტატის მასწავლებლად ითვლებოდა და ჯამაგირიც ამის-და-გვარად ნამდვილის შტატის მასწავლებლისა ეძლეოდა.

გრაფ ტოლსტოის გამინისტრების შემდეგ ეს წესი ნელ-ნელა შეიცვალა: სამშობლო ენის შესწავლას ვალდებულებითი ძალა ჩამოერთვა: ვისაც ჰსურდა სწავლობდა, ვისაც არ ჰსურდა ძალას არ ატანდნენ; შემდეგ ყველა კლასების მაგიერად, მხოლოდ პროგიმნაზიულ კლასებში, ესე იგი პირველ ოთხ კლასში დაუწყეს შაგირდებს სამშობლო ენის სწავლება; ბოლოს საქმე იქამდინ მივიდა, რომ ამ ენების მასწავლებელი თითქმის მაჩანჩალასავით შეიქნა გიმნაზიებში: შტატიდამ გამორიცხეს, ჯამაგირს იმის-და-გვარად აძლევდნენ—თუ რამდენი მორჩებოდა გიმნაზიას ყველა სხვა ხარჯს გარდა (ეკონომიურ ჯამიდამ); გიმნაზიის მთავრობა ყურადღებას არ აქცევს სამშობლო ენების შაგირდებისაგან შესწავლას და თვით ამის მასწავლებელს, ზოგიერთებს საქებათაც მიაჩნიათ ყმაწვილი, რომელიც თავის ენას არ სწავლობს; გაკვეთილები ამ ენისა ისეთს დროს არის დანიშნული—მეხუთე საათი—, როდესაც ლათინურის, ბერძნულის და სხვა საგნებით დაქანცულს, გონება-დალალულს ყმაწვილს თითქმის არაფრის გაგებისა და შესწავლის ღონე არა აქვს, და სხვ. და სხვ.

ამისთანა მდგომარეობაშია ახლა ჩვენს გიმნაზიებში ადგილობრივ სამშობლო ენების შესწავლა.

და ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ერთის მხრით, ამ ენების ხეირიანი მასწავლებლები ვერ იშოვნოს გიმნაზიამ და, მეორეს მხრით, თვით შაგირდებიც გულ-აცრუებით იყვნენ და, მართლაც, ვერაფერს სწავლობდნენ, ვერაფერს იძენდნენ სამშობლო ენიდამ?! თვითონ მთავრობამ აიგდო ეს ენები და ამის გამო მასწავლებლებისა და შაგირდებისგანაც აგდებული შეიქნა!..

საუბედუროთ, თვით საზოგადოებისგანაც თითქო აგდებული და მივიწყებული შეიქნა ეს საგანი: ერთხელ ხმა არ ამოუღია ჩვენს ცრუ-განათლებით წატაცებულ საზოგადოებას სამშობლო ენის სასარგებლოდ; ერთხელ არავის უთქვამს: „ჩვენს შვილებს ჩვენი ენა ასწავლეთო!“

რა წარმოსდგა აქედამ—ყველამ ვიცით: გაგვიჩნდნენ განათლებული ყმაწვილკაცები, რომელთაც თავის სამშობლო ენაც დაივიწყეს და ვერც სხვა შეითვისეს, რომელნიც თითქო ორ სკამ შუა იჯდნენ და ვერცერთზე კი მაგრად ვერ მოთავსებულიყვნენ; გაგვიჩნდნენ ყმაწვილ-კაცები გულგრილები ყველა სამშობლო საქმისა, სამშობლო ენისა, ლიტერატურის, ჩვენი ქვეყნის საზოგადო, საერო საქმეებისა...

როგორც გაზეთებიდამ სჩანს, ახალი მინისტრი სახალხო განათლებისა—საბუროვი—ძველს კვალზე არ აპირებს წასვლას. იმედი ვიქონიოთ, რომ ის ჩვენს საშუალ სასწავლებლებში სამშობლო ენების უხეირო მდგომარეობას, დამცირებას, შევიწროებას მიაქცევს ყურადღებასა და ეცდება, რომ ამ ენების შესწავლას ჯეროვანი საშუალება და სახსარი მიეცეს...

ყველაზე პირველად საჭიროა, რომ თვით ჩვენმა საზოგადოებამ შეატყობინოს უმაღლესს მთავრობას ეს თავის აუცილებელი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. საჭიროა, საზოგადოებამ იშუამდგომლოს, რომ ქართული ენის მასწავლებელი შტატის მასწავლებლად ჩაირიცხოს, რომ იმას ისევ ჯამაგირი და პატივი ჰქონდეს, რაც დანარჩენ მასწავლებლებსა აქვსთ.

ჩვენის ჰაზრით, ყველაზე უფრო კარგად ამის მოხერხება თავად-აზნაურთა საზოგადო კრებას შეუძლიან, რომელსაც თვით კანონითაც მინიჭებული აქვს უფლება—თავის საზოგადო საჭიროება აცნობოს მთავრობას. ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს ამ ჟამად ჩვენთვის ერთი ისეთი საჭიროებათაგანია, რომლის რიგიანად დაკმაყოფილება უნდა ენატრებოდეს და ჰსურდეს.

თუ, ვინიცობაა, ყოვლის-მოულოდნელად ეს კანონიერი შუამდგომლობა შეუწყნარებელი დარჩა, მაშინ თვითონვე უნდა იზრუნოს ამ საგანზედ.

ამ მხრით გუშინდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი შენიშვნა ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსის ალექსანდრესავან ორი ათასის მანეთის შეწირვაზედ, სასულიერო სემინარიაში ქართულ კათედრის დასადგენად, დიდი ყურადღების ღირსია. თუ, როგორც ზევით მოგახსენეთ, უმაღლეს მთავრობამ თავად-აზნაურთა შუამდგომლობა არ შეიწყნარა, შეიძლება ამნაირად მოგროვდეს იმდენი ფული, რომლის სარგებლითაც ქართულის ენის ერთი ან ორი კარგი მასწავლებლის დაჭერა შეიძლებოდეს რიგიანის ჯამაგირითა. მართალია ეს მასწავლებლები შტატისანი არ იქნებიან აქსვთ, მაგრამ კარგის ჯამაგირით მაინც ხეირიანი მასწავლებლის შოვნა შეიძლება, რომელიც სამშობლო ენის შესწავლას რიგიან გზაზედ დააყენებს.

ერთის სიტყვით, ასე იქნება თუ ისე, ეს ისეთი საგანია, რომელზედაც კარგათ დაფიქრება და ზრუნვა მმართებს თვითონ ჩვენს საზოგადოებასა...

---

## ახალი ამბები

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში იტალიიდამ (მილანიდამ) ავტოგრაფით დაბეჭდილი „წერილი საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისადმი“—ჩვენებურ ახალგაზდა მხატვრის გ. ალ. ბერიძისა, რომელიც ეს ორი წელიწადია, რაც იტალიაში წავიდა მხატვრობის ხელოვნებაში გასავარჯიშებლად.

ხსენებული „წერილი“ დიდს, გაზეთის-ოდენა ქაღალდზედ არის დაბეჭდილი და შიგა-და-შიგ ჩართულია გარიბალდის, იტალიის მეფის ჰუმბერტის, მინისტრის კაიროლის, ვენეტიკის და რამდენიმე სხვა სურათები, რომელიც თვითონ გ. ბერიძეს გადმოუხატავს და ამ წერილში ავტოგრაფით დაუბეჭდინებია.

როგორც სურათები, აგრეთვე თვით დედანი—ნაწერი მშვენიერი ხელოვნებაა. ამ წერილში ავტორი „წერა-კითხვის საზოგადოებას“ სთხოვს, სა-

შუალებას თუ მომცემთ, რომ ჩემი სპეციალური საგანი — ისტორიული მხატვრობა — შევისწავლო, ამასთანავე სხვა-და-სხვა მხატვრობასაც შევისწავლიო და როცა დავბრუნდები, სახელმძღვანელო წიგნებისათვის ანუ ნახატებიან (ილლუსტრაციის) გამოცემისათვის მუქთად ვიმუშავებო.

სხვა არა იყოს-რა, მარტო ისიც რომ მივიღოთ მხედველობაში, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ სახელმძღვანელოების გამოცემის დროს ყოველთვის დასჭირდება ნახატები, იმედი გვაქვს ეს საზოგადოება ხელს გაუმართავს ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვარს.

* * *

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ერთს ვისმე ს. მ. მღებროვს გაუმართავს ჩვენს ქალაქში პრავანსის ზეთის ქარხანა და ამ დღეებში ამ ქარხანის ნაწარმოების ზეთის გასყიდვასაც დაიწყებსო. ამბობენ, ძალიან სუფთა, კარგი ზეთი გამოჰყავსო, სამზღვარ-გარეთის ზეთს არ ჩამორჩებაო. ფუთს ზეთს მღებროვი 12 მანეთად გაჰყიდის (გირვ. 30 კაპ.) მაშინ, როდესაც საფრანგეთის ზეთი ფუთი თითქმის ოთხ თუმნად ისყიდება.

ეს ზეთი, როგორც მოგეხსენებათ, სელიდამ, შირბახტის თესლიდამ, თხილიდამ, ლილიფარიდამ და სხვ. გამოჰყავსთ; ამის გამო, იმედია, დღეის შემდეგ ამ ნაყოფთაც ფასი დაედება ჩვენში.

* * *

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ ერთ ვილაც დიმიტრიევს გამოუცია იქ „კავკასიის ალბომი“, რომელშიაც სხვა-და-სხვა ჩვენი მხრის სურათებია მოქცეულიო, სხვათა-შორის, დახატულია: ჩაჩანი, ინგუში და ჩაჩნის ქალი, ლეკებში ყორანის კითხვის სურათი და სხვ.

რუსული გაზეთები აქებენ ამ ალბომს, რომელიც თითო 2 მან. და კაპ. იყიდება.

* * *

ბ. გ. სუნდუკიანცის კომედია „პეპო“, (რომელიც „ივერიის“ უკანასკნელს მესამე წიგნში დაიბეჭდა,) ამ დღეებში ცალკე წიგნათაც გამოიცა.

ამისთანა შნოიანი და თითქმის უნაკლულო გამოცემა ძალიან იშვიათად არის ჩვენს ახლანდელ მწიგნობრობაში.

ფასითაც ძვირი არ არის: თითო წიგნი 40 კაპ. ისყიდება.

* * *

კახეთიდამ გვწერენ:

„შაედრობამ შეაწუხა კახეთი: ჯერ მარცვალი არ დაუთესიათ უწვიმობის გამო.

„ღვინო წელს გაცილებით შარშანდელზედ უკეთესია, მაგრამ ნაკლები, ეხლავე საპანე 15-20 თუმნამდინ იყიდება.

„შუადღე ისევ თბილია კახეთში, მაგრამ დილითა და სალამოთი-კი საგრძნობელად ცივა. ბევრმა მონახა საზამთრო ტანთ-საცმელი. კავკასიის მთა-გრეხილის წვერები დიდი ხანია, რაც თეთრი თოვლით გვირგვინით არიან მორთულნი.

„ერთი კვირაა, რაც კახეთში მოვიდა ფოტოგრაფი ალ. როინოვი ძველის ისტორიულის ძეგლების გადასაღებად. უბედურობა ესაა, რომ ადგილების მცოდნე თანა-მოგზაური არა-ვინა ჰყავს და ამიტომ ბევრი შესანიშნავი შენობები დარჩება უნახავად და გადაუღებლად. ძველს ფულებსა და ნივთებსაცა ჰყიდულობს ბ. როინოვი მომავლის არხეოლოგიურის კრებისათვის...“

---

# თეატრი

## ქართული წარმოდგენა

5 ნოემბერს.

ბ. კორინთელის ბენეფისი. „დავა“ ხუთ მოქმ. კომედია გ. ერისთვისა და „პარიკმახერისას“ ერთ მოქმ. ხუმრობა-ვოდევილი თ. რაფ. ერისთვისა.

დაიწყო ჩვენი ტრუპპის ბენეფისთა დრო; პირველი არჩევანი ერთგულს, მუყაითს და თავის ხელობის სვინიდისიანად აღმასრულებელს ქალბატონს ბ. კორინთელს ხვდა. თვითონ მობენეფიციანტეს მდგომარეობა და საზოგადოების გემოზე არჩეულნი პიესები გვაიმედებდა, რომ თეატრის დარბაზი სავსე იქნებოდა მაყურებლებით მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. საზოგადოთ ბენეფისი ხალხს იზიდავს ხოლმე ან მობენეფიციანტეს სახელით, ან პიესების თვისებით. თუ პირველი არ იყო გუშინ წინ ღირსი, მეორემ მაინც რა დააშავა. სერიოზული პიესები რომ ეთამაშნათ, მაშინ კი გიპასუხებდით და ეხლა კი რა მოგახსენოთ, იმით უფრო, რომ „დავა“ კარგი სასცენო პიესაა: აქ არის იმერელი თავის „იმეთი“, სომეხი „ვა, კნიაზით“, „პრეოჭიკი“ თავის თარგმანით, რომელიც არც ღვთისაა და არც კაცის, რუსის ჩინოვნიკი **абрунди** და **щабрунди**-თ, ერთის სიტყვით, ყველაფერი რაც კი ჩვენს მოთეატრე საზოგადოებას მოსწონს, აცინებს და აღტაცებით აძახებინებს „ბრავო“ და „ბისს“. „პარიკმახერისასაც“, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, პირველს უკან არ ჩამოუვარდება ამ გვარ თვისებით.

თამაში, ნამდვილი არტისტული თამაში კი არ არის პირველს პიესაში საჭირო, არამედ სიტყვების გრეხით სასაცილო როლების გაზეპირება და სცენაზე ოდნავად გამოცდილება, რომელიც არ აკლია ჩვენს მოთამაშეებს. რასაკვირველია, ასე მცირე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ადვილად შეუძლიათ ტრუპპის აქტიორებს. გუშინ-წინ იმათ აღტაცებაში მოიყვანეს თეატრში დამსწრე საზოგადოება, „ბრავო“ ურიცხვი ერგოთ და „ბისი“ აუარებელი. მათგან უფრო ბევრი იმათ ხვდა, რომლის როლიც უფრო სასაცილო იყო; რომლისაც კი „სერიოზულ“ როლს ჰგავდა და ნამდვილად კი არც სერიოზულია და არც სასაცილო — ის რიყეზე გარჩა. მაგალითად, ავიღოთ ბეგლარის როლი. რა თამაში უნდა მოვთხოვოთ ამ როლში აქტიორს? რა ტიპი უნდა გამოგვისახოს, როგორ აგვაღელვოს ან გაგვაცინოს, როდესაც ამ როლის ტიპი

„არც ჩვენია, არც სხვისია,
ეშმაკმა იცის ვისია“,

და სიცილი და აღელვება ცარიელის სიტყვებით, ნამეტურ იმისთანაებით, როგორც ამ როლშია, ყოვლად შეუძლებელია გამოწვეულ იქმნან.

ჩვენის საზოგადოების ბედათ, რომელიც ჯერ-ჯერობით მარტო სიცილით გართობისათვის მიდის თეატრში, ამისთანა როლებს ცოტა ადგილი უჭირავს პიესაში და მაყურებელის უმთავრესი ყურადღებას იპყრობენ იმერლის (ლომონ ბოდობრელიძე), სომხის (პუმუხელოვი), რუსის ჩინოვნიკის (ვზიატკინი) და გამდელის როლები. ამ როლების მოთამაშეებზე უკეთესს ამასრულებლებს ვერ ინატრიდა გუშინ წინ თეატრში დამსწრე საზოგადოება.

იმერლის როლს თამაშობდა დ. იმერიძე. ჩვენ თვითონ რომ ბ ანტ. ლორთქიფანიძე არ გვენახა ამ როლში (ქუთაისში), მაშინ დავფიცავდით, რომ იმერიძეზე უკეთესად ვერვინ ვერ აასრულებს ამ როლს-მეთქი. უპირატესობას იმიტომ ვაძლევთ ბატ. ანტონ ლორთქიფანიძის თამაშს, რომ იგი თამაშობს იმ დარბაისელს აზნაურს, რომლის მსგავსნი თან-და-თან გვეცლებიან ხელიდამ, და ბატ. იმერიძე — იმისთანას, რომელიც დღევანდელს დღეს ეკუთვნის, ვხედავთ და კვლავაცა ვნახავთ.

სომხის როლის ამსრულებელი, ბ. აბაშიძე მართლაც რომ კარგად აჯავრებდა სომხებს, და იმ დროს კი, როცა რუსის ჩინოვნიკთან იმერელი მიჰყავს და ერთს მეორის ლაპარაკს უთარგმნის — სწორედ ჩინებული იყო.

ჩინოვნიკის ვზიატკინის როლი ყველა როლზე უფრო „დაღოცვილი“ როლია ამ პიესაში. აქ სიტყვების გრეხა იმდენად არ არის საჭირო, რამდენადაც არტისტული თამაში. ამ როლს კ. ყიფიანი ასრულებდა, თავისებურად, ხელოვნურად. მხოლოდ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ ამ პატივცემულს აქტიორს: ერთობ მწერლობის ენით ლაპარაკობდა ჩინოვნიკის როლს, მაშინ როდესაც ვზიატკიები დომხალივით ურევენ დაბალი ხალხის ფრაზებს კილოკავად გაგონილს მწერლობის კილოსთან.

გამდელის როლის ამსრულებელმა, ნ. გაბუნიამაც თავისებურად აასრულა როლი. მაგრამ ამის თავისებურობა ხანდის-ხან ერთობ, ერთობ გადაჭარბება შეიქნა: სიცილი იქნება თუ ტირილი, სევდის გამოცხადება თუ დალაგებით ლაპარაკი — ხშირად აჭარბებს. მაგის სიცილი ქაჯის სიცილსა ჰგავს, ტირილი რაღაც თავზარ დამცემია და ლაპარაკის დროს, გეგონებათ, მუშტი-კრივის გამართვას აპირებსო. [illegible] დიდი ნიჭი აქვს, მაგრამ ყოველთვის რიგიანად ვერ მოუხმარია ეს ნიჭი და ხელმძღვანელიც, საუბედუროდ, არავინა ჰყავს. ტაში და ბრავო ხშირად ანაცვლებს სცენის ხელოვნებას და თეატრის მოყვარულთ მოწონებას იგი ცვლის რაიოკის ბრავოზე...

თვითონ მობენეფიციანტე ამ პიესაში სიდონიას უფერულს როლს თამაშობდა, და მისთვის დამსახურებად არ ჩაითვლება ამ როლის კარგად ასრულება. საზოგადოებამ პატივისცემით მიიღო ის, რამდენჯერმე გამოიხმეს, რასაკვირველია, ტაშით და ბრავოთი.

მეორე პიესის, „პარიკმახერისას“ თამაშის დროს მაყურებლებს მუცლიდამ ხელი არ მოუშორებიათ იმდენს იცინოდნენ. უმთავრესის როლის — პარიკმახერის შაგირდის ბიბოსი და ობოლი — ნინოსი ამსრულებელნი ვ. აბაშიძე და აბაშიძის — საფაროვისა ამ რიგ როლებისთვის არიან დაბადებულნი. აბაშიძე და აბაშიძის — საფაროვისა რომ არ ყოფილიყვნენ ისედაც აღტაცებაში მოიყვანდნენ ეს როლები მაყურებელს, მეტადრე იმ დროს, როცა ბიგო და ნინო ერთი მეორის ტანისსამოსს იცმენ და სცენაზე გამოდიან, და სტუმრებს და მუშტრებს ერთმანეთის მაგიერ იღებენ. რაღა თქმა უნდა, ორთავემ მოსაწონად ითამაშეს ეს „მადლიანი“ როლები. წინედ ნინოს როლს ნ. ხეიძე თამაშობდა; ადვილად გასაგების მიზეზის გამო ჩვენ არ შევადარებთ მათს თამაშს, მხოლოდ ვიტყვით, ეს როლი ხეიძეს უფრო შვენოდა, აგებულების წყალობით, ვიდრე აბაშიძის — საფაროვისას. კ. ყიფიანმა თავადი ბაადურის როლს თავისებურად ფერი მისცა და გაამშვენიერა. ჩინებულად გამოდიოდა ის ადგილები, როცა პარიკმახერის სუტშაგირდი (აბაშიძის — საფაროვისა), მუშტრებს ეგებება და ეს კი სუტ-ქალიშვილს (აბაშიძეს) ეკურკურება და ჰკითხავს: — „რასა სჭამ, ჩემო ლამაზო გოგუნა?“ პასუხი: „რას ვსჭამ და ლობიოს!“ — „ი, ლობიოს მეცა მეცა ვჭამ, მაგრამ შენსავით ლამაზი როდი ვარ!“ და სხვ.

თავის კარგის თამაშით მობენეფიციანტემ (ლიზა უცხოფერაძის როლში) თვალ-წინ წამოგვიყენა იმ გადაგვარებულ ქალების როლი, რომელნიც თავის-თავისვე შესარცხვენად, ქართულს აღარ ჰკადრულობენ და „მაია-ტვაიათი“ „პარუსკობენ.“

ჭ.

---

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** ოც-და-ცხრა ნოემბერს პარიჟში დაიწყო დეპუტატთა პალატის სხდომები. პირველი სხდომის დაწყების წინედ წაკითხულ იქმნა სამინისტრო მოხსენება, რომელშიაც, სასულიერო კონგრეგაციების დახურვის შესახებ, სხვათა შორის, შემდეგია ნათქვამი:

„სასულიერო კონგრეგაციების გან-

მსაზღვრელი კანონი საფრანგეთში —უცები და ძალ-დატანებითი კანონები კი არ არის, არამედ სიბრძნის, აუცილებლობის და ჩვეულების სამართალი გახლავთ. ის არის ნასკვი იმ გარანტიისა, რომელზედაც რესპუბლიკის მმართებლობა არას-გზით ხელს ვერ აიღებს, და რომლის შემსუბუქებაც წინ-დაუხედაობა იქნებოდა. ეს კანონები არც წესს და არც სვინიდისს არ ეხებიან. მათი დაცემა სახელმწიფოის არსებობის დაცემა იქნება. 261 კონგრეგაციები ნებადაურთველთ სამღვდელო ორდენებისა დავხურეთ. მმართებლობა არ დახურავს მონაზონთა კონგრეგაციებს, რომლებსაც ის ახალს წყობილებას მისცემს.“

—

გერმანიაში არის მრავალ-რიცხვიანი დასი, რომელიც თხოულობს რომ სხვა-და-სხვა წესდებულებებით ურიების ყოფა-ცხოვრება შეავიწროვონ, რადგანც ესენი თავიანთ ხერხიანობის წყალობით თითქმის ბატონობენ მთელს გერმანიაში, და ვნებას აძლევენ გერმანიის ხალხსო.

*Börsenkurier*-ი გერმანიელ ურიების გაზეთი ამბობს, რომ მათს შესავიწროებლად საგანგებო კანონების გამოცემა ბარბაროსობა იქნებაო და სახელითა კაცობრიობის და ცივილიზაციისა თხოულობს თავი დაანებონ ამ განზრახვას. ამაზე *Reichsbote* პასუხს აძლევს, ეს განზრახვა ბარბაროსობათ არ ჩაითვლება, რადგანაც ის გერმანიის ხალხის ყოფა-ცხოვრების და ცივილიზაციის საკეთილდღეოდ არის მომართულიო. გაზეთის სიტყვით, ნემცებს ამ საქმის თაობაზე ერთი პირი აქვთ და შეთანხმებით ცდილობენ ურიების ულლიდამ განთავისუფლებას, რადგანც ისინი სტანჯვენ მათს ბირჟას, აღებ-მიცემობას და მწერლობას.“

—

# განცხადებანი

გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება

## პეპო

თხზულება გაბრ. სუნდუკიანცისა

ავტორისგანვე ქართულად ნათარგმნი.

ისყიდება: შავერდოვის საგენტოში (ბულვარზე), ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში (არწრუნის ქარვასლაში) და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ზუბალოვის შენობაში, ხიდთან.)

ფასი 40 კაპ.

(5—1)

—

ტეხნიკურ-ხელოსნობის სწავლის დამხმარებელი საზოგადოება საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ნოემბრის ოცის 9-ს

ალექსანდროვის ბაღში

გამართული იქნება

## ალეგრი

მიხაილოვის-რკინის გზის საწავლებლის შაგიდთა სასარგებლოდ.

ალეგრი 12 საათზე დაიწყება

ბაღში შესვლის ფასი 1 მან. ვინც ბილეთს აიღებს 3 ბილეთს ალეგრისას მიიღებს მუქთად.

ალეგრის ბილეთის ფასი 20 კაპ.

2—1

—

ჯანჯულაზოვის საქმეების კონკურსის უპრავლენიის განკარგულებით ჯანჯულაზოვების დიდს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში გაისყიდება სხვა-და-სხვა საქონელი და თუჯის ფეჩები ნარდათ და ცალკ-ცალკე მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ და საღამოს 5-დამ 8-მდინ.

კურატორი პ. ლებედინსკი.

5—3

—

# ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

სამმართველო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით, 15 დეკემბერს მიმდინარის 1880 წლისა, დილის თერთმეტს საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში (ქარვან-სარაის ქუჩა, ხარაზოვების ახლები) საზოგადო ვაჭრობით გაყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო-აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გადასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე-19 §-ისამებრ, სრულად შეავსებენ ბანკის სახვედრო გადასახადს და თან გაცხადებაზედ ხარჯებს.

| გვარი, სახელი, მამის სახელი და წოდება ბანკის მოვალეთა | რა გვარი მამულია? | სად მდებარეობს მამული? | თანხა ვალი. | | შემოუტანელი გადასახადი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| 43½ წლიანი სესხნი. | | | | | | |
| გაგელია, დიმიტრი გიორგის ძე, აზნაური. | ზვარები, სახნავ-სათესი და ტყე, 58 დეს. და 300 კვად. საჟ. | სოფელსა ჭაჭყურს სენაკის უეზ. | 3,727. | 27 | 166 | 5 |
| ჭიპაშვილი, ეგნატე თედორეს-ძე გლეხი. | სახნავ-სათესი, 1 დესეტ. და 1800 კვად. საჟენ. | სოფ. ჩხერს შორაპ. უეზ. | 195. | 57 | 31 | 91 |
| კორძაია, გიგო გლახუას-ძე, აზნაური. | სახნავ-სათესი, 34¼ დესეტ. | სოფ. საჭილაოს სენაკის უეზ. | 3,236, | 75 | 146 | 18 |
| ქაჯაია, გიორგი ტარიელის-ძე, აზნ. | ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 7 დესეტ. და 800 კვად. საჟ. | სოფელსა ჭაგანს ქუთაისის უეზდისა. | 882. | 75 | 66 | 74 |
| ჩხეიძისა, მელანია ქაიხოსროს ასული, აზნაური. | ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესეტ. | სოფელსა ლახუნდარას შორაპანის უეზდისა. | 3,923. | 35 | 234 | 42 |
| ბაქრაძე, ბიჭია გიორგის-ძე, აზნ. | სახნავ-სათესი, 7 დესეტ. და 1200 კვად. საჟენ. | სოფელსა ქვაშხიეთს რაჭის უეზდისა. | 1,475. | 74 | 90 | 71 |
| ყანდინოვი, ანნა ნიკოლოზის ასული, ნადვორნი სოვეტნიკის ქალი. | ეზო, ზვარები, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დეს. და 600 კვად. საჟ. | სოფელთა: წინაველს, ჭოგნარს და გოდოგანს ქუთაისის უეზ. | 2,066. | 3 | 142 | 12 |
| ჩიქოვანი, ივანე ოტიას-ძე თავ. | ეზო, ზვარები, სახნავ-სათესი და ტყე, 48¾ დესეტ. | სოფელთა: ლასურიაში, მახაშს და უწყერს ლეჩხუმის უეზ. | 4,919. | 10 | 269 | 66 |
| ერისთავი, გიორგი დავითის-ძე, ნადვორნი სოვეტნიკი, ჩიქოვანი, ხოსია ზურაბის-ძე აზნაური, და ჩიქოვანისა, გულქანა მურძაყანის ასული თავ. | ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 15 დესეტ. | სოფელს, ლასვერიაშს ლეჩხუმის უეზდისა. | 1,377. | 34 | 74 | 36 |
| აბაშიძე, ქაიხოსრო გიორგის-ძე, თავ. | ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი, მინდორი და ტყე, 49 დესეტ. და 250 კვად. საჟ. | სოფელსა ლაშეს შორაპანის უეზდისა. | 6,907. | 7 | 311 | 80 |
| აგიაშვილები, ქაიხოსრო, კოსტანტინე და სიმონ ბებეს-ძენი, თავ. | სახნავ-სათესი და ტყე. 33 დესეტ. და 1800 კვად. საჟ. | სოფ. ტყაჩირს ქუთაისის უეზ. | 2,762. | 83 | 77 | 54 |
| ბოთერაშვილი, აბრამ დანიელის-ძე, და ელაშვილები: იოსებ და აბრამ შამელას-ძენი, 2 გილდის ვაჭარნი. | სახნავ-სათესი, 130⅓ დესეტ. | სოფელსა ჭყუმურს ქუთაისის უეზდისა. | 25,654. | 90 | 1,117 | 40 |
| ლორთქიფანიძისა, ქესარია ბესარიონის ასული, თავ. | სახნავ-სათესი, 13 დესეტ. და 300 კვად. საჟენი. | სოფელსა ზეინდარს ქუთაისის უეზდისა. | 1,480. | 9 | 78 | 60 |
| მიქაძენი: ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე, რამინ და ბექან სიმონის-ძენი, გიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის-ძენი, და ეკატირინა პეტრეს ასული, თავ. | სახნავ-სათესი, საბალახო და ტყე, 750 დესეტ. | სოფელსა ჭალადიდს სენაკის უეზდისა. | 14,800. | 89 | 651 | ,, |
| მხეიძე, ივანე დავითის-ძე, აზნაური. | ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 8 დეს. და 651 კვადრ. საჟ. | სოფელსა კორეეთს ქუთაისის უეზდისა. | 394. | 70 | 31 | 96 |
| ჩუბინიძე, სიმონ გრიგოლის-ძე, გლეხი. | ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 6 დეს. და 1450 კვადრ. საჟ. | სოფ. დილიკაურს შორაპ. უეზ. | 394. | 70 | 31 | 96 |

| გვარი, სახელი, მამის სახელი და წოდება ბანკის მოვალეთა. | რა გვარი მამულია? | სად მდებარეობს მამული | ვალი. მან. | კაპ. | წლიური შესატანი. მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭაჭიაშვილი, სინო გიორგის-ძე, აზნაური. | ეზო, ზვარები, სახნავ-სათესი და ტყე, 66 დეს. და 1291 კვადრ. საჟ. | სოფ. არგვეთს შორ. უეზდისა. | 6,907. | 7 | 412 | 72 |
| ლორთქიფანიძე, მიხეილ გიორგის-ძე, თავადი: | სახნავ-სათესი, ზვარები და ტყე, 82 დეს. და 1200 კვადრ საჟ. | სოფ. ამაღლებას ქუთ. უეზდისა. | 7,916. | 32 | 388 | 13 |
| ბაქრაძე, კონსტანტინე კაციას-ძე, აზნაური. | ზვარი და სახნავ-სათესი, 5 დეს. და 2025 კვადრ. საჟ. | სოფ. ფარახეთს და კრიხს რაჭ. უეზ. | 1,686. | 86 | 95 | 83 |
| იოსელიანი, პეტრე ნიკოლოზის-ძე, აზნაური. | ეზო, ზვარი და ტყე, 18 დეს. და 1272 კვადრ. საჟ. | სოფ. წყალტუბოს ქუთ. უეზდისა. | 1,190. | 73 | 81 | 70 |
| ყიფიანი, გიორგი როსტომის-ძე, აზნაური. | ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 4 დეს. და 313 კვადრ. საჟ. | სოფ. ჭოლევს ქუთ. უეზდისა. | 496. | 13 | 36 | 20 |
| ლომინაძე, მაია იესეს ასული, აზნაური. | ეზო, ზვარები, სახნავ-სათესი და ტყე, 8 დეს. და 1824 კვადრ. საჟ. | სოფ. სალომინაოს ქუთ. უეზდისა. | 694. | 60 | 44 | 89 |
| მუსელიანი, ტარიელ ოქროპირის-ძე, გლეხი. | ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 15 დესეტინი. | სოფ. ტოლას რაჭის უეზდისა. | 1,488. | 41 | 79 | 5 |
| მიქელაძენი: ვალერიან და გიორგი ბეგლარის-ძენი თავადნი. | ეზო, სახნავ-სათესი, 23 დეს. და 1104 კვადრ. საჟ. | სოფ. ქულაშს ქუთ. უეზდისა. | 4,663. | 69 | 237 | 43 |
| ნიჟარაძე, სესიკა ნიკოლოზის-ძე, გლეხი. | ეზო და სახნავ-სათესი, 1 დეს. და 984 კვადრ. საჟ. | სოფ. ქულაშს ქუთ. უეზდისა. | 198. | 46 | 32 | 44 |
| ტყაგონიძისა, მარიამ ანდრიას ასული გლეხი. | ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 10 დეს. და 889 კვადრ. საჟ. | გუმათის აგარს ქუთ. უეზდისა. | 595, | 35 | 41 | 54 |
| **18 7/12 წლიანი სესხი** | | | | | | |
| წერეთლები: გიორგი და დიმიტრი ევთიმეს-ძენი, და ვასილ სიმონის-ძე, აზნაურნი. | ორი ერთ-სართულიანი სახლები: ერთი ქვით-კირისა, ხოლო მეორე ხისა სამზარეულოებით და თან ეზო, ბაღი სახნავ-სათესი და ტყე, 2 დეს. და 1147 კვადრ. საჟ. | ქ | 6,066. | 34 | 671 | 46 |
| ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასული, აზნაური | შვიდი ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქნები სარდაფით და თან მიწა, 103½ კვადრ. საჟ. | | 2,686. | 53 | 193 | 71 |
| დოდობერიძე, გიორგი ბესარიონის-ძე, აზნაური. | ოთხი ქვით-კირის ერთ-სართულიანი დუქნები და თან მიწა, 276 კვადრ. საჟ. | ა | 16,462. | 17 | 1000 | 80 |
| კანდელაკისა, ეკატერინა ანდრიას ასული, კოლლეჟსკი ასესორის ცოლი. | ორი სახლი: ერთს ორ-სართულიანი (ძირა სართული ქვით-კირისა, ხოლო ზედა ხისა) და მეორე ერთ-სართულიანი ქვით-კირისა და თან მიწა, 192 კვადრ. საჟ. | | 2,655. | 17 | 276 | 89 |
| გურიელისა, ელეონორა მიხეილის ასული, თავადი | ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სამზარეულოთურთ, და თან ეზო და ბაღი, 1230 კვადრ. საჟ. | ლ | 4,514. | 85 | 293 | 25 |
| ქოჩოროვისა, ქალია ივანეს ასული. მოქალაქე. | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, და თან მიწა და ეზო; 200 კვადრ. საჟ. | | 2,438. | „ | 165 | 26 |
| მურვანოვი, პეტრე სიმონის-ძე, აზნაური. | ოთხი ქვით-კირის ერთ-სართულიანი დუქნები და მიწა, 210 კვადრ. საჟ. | ა | | | | |
| ბერნოისა, მარია ალოიზის ასული, საფრანგეთის ქვეშევრდომი. | ერთ-სართულიანი ხის სახლი ქვის საფუძველზედ და თან მიწა, 62² ₃ კვადრ. საჟ. | | 722. | 43 | 59 | 52 |
| იოსელიანი, კონსტანტინე იესესძე, პოდპორუჩიკი. | ორ-სართულიანი სახლი, ძირა სართული ქვით-კირისა, ხოლო ზედა ხისა, და თან მიწა, 344 კვადრ. საჟ. | ქ | 644. | 26 | 82 | 40 |
| ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასული, აზნაური. | ორი ერთ-სართულიანი ხის სახლები, და თან ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 3 დეს. და 2306 კვადრ. საჟ. | | 1,124. | 69 | 106 | 21 |
| | | | 1,907. | 27 | 162 | 21 |
| **სამ წლიანი სესხი.** | | ტ | | | | |
| გაბაშვილი, მაქსიმე გიორგის-ძე, კოლლეჟსკი ასესორი. | ორი ნაკვეთი მიწა. 2 დესიატინი და 708 კვადრ. საჟ. | | 2.000. | 99 | 99 | 80 |
| დულაძე, სოლომონ ნიკოლოზის-ძე, კოლლეჟსკი სეკრეტარი, | ერთ-სართულიანი ხის სახლი და თან მიწა, 7437 კვადრ. საჟ. | ფ | 5,000 | „ | 200 | 50 |
| კაშია, იესე ლაზარეს-ძე, გლეხი. | ერთ-სართულიანი სახლი და თან მიწა, 840 კვადრ. საჟ. | | 192. | 12 | 26 | 53 |
| მიქელაძე, ალექსანდრე ტარიელის-ძე, თავადი. | ეზო, ბაღი და სახნავ-სათესი, 11¹ ₄ დეს. | სოფელსა ქულაშს ქუთაისის უეზდში. | 1,800. | „ | 227 | 90 |
| კამსარაკანი, ივანე იოსების-ძე, აზნაური. | სახნავ-სათესი მიწა და ტყე, 20 დეს. და 1981 კვადრ. საჟ. | წინაველის აგარს ქუთაისის უეზდისა. | 2,000. | „ | 155 | „ |
| კაშია, პავლე სპირიდონის-ძე, გლეხი. | ეზო, სახნავ-სათესი, ტყე, და ზვარი, 3 დეს. და 1421 კვადრ. საჟ. | სოფელსა ბაშს ქუთაისის უეზდისა. | 200. | „ | 32 | 44 |

ვაჭრობა დაიწყება ზემო მოყვანილის თავნი ვალიდამ ზედდამატებით სხვა და სხვა გადაუხდელის ფულისა, მამულის გასასყიდლად დანიშნაზედ ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რაიცა ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხან-გრძლივის ვალის თავნის მოსპობა შეიძლება იმავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ—მანეთი მანეთად; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა ნაღდად შემოტანილი იქმნეს. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, მათ შეუძლიათ გასასყიდელთა მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 §-ის საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 15 იანვრისა თვეს მომავალის 1881 წლისა, ამავე ბანკის სამმართველოში.

3—3

Дозволено цензурою. Тифлисъ 7 Ноября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.